ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5357666

ნომერი: AR1815905

თარიღი : 05.04.2021

გაცემის თარიღი : 07.04.2021

გაცნობის თარიღი : 08.04.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბეჟან აბდუშელიშვილი პ/ნ 54001012271
- შეყლაშვილის ქ.42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელ ზონა-1-ში (სზ-1), სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ამ ზონისათვის შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და ასევე დასაშვებია მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დამხმარე შენობა/ნაგებობის განთავსება.

თქვენს შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გსურთ ტერიტორიაზე განათავსოთ დამხმარე შენობა/ნაგებობა (ინდივიდუალური სარგებლობის ავტოსადგომი) ცარიელ ტერიტორიაზე, რაც დგინდება თქვენს მიერ ატვირთული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალის და საკადასტრო გეგმის მხედვით. დამხმარე შენობა/ნაგებობა კი შესაძლებელია არსებობდეს ამ ზონაში დასაშვები ძირითადი შენობის/ების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული ობიექტი განხილულ უნდა იქნას ძირითად შენობასთან ერთად და არა ცალკე დამოუკიდებლად. ვინაიდან მიწის ნაკვეთზე არ ფიქსირდება ძირითადი შენობა ნაგებობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებელობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ინდივიდუალური სარგებლობის ავტოსადგომის მოწყობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე 05.04.2021 წ. AR1815905 განცხადება ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.